სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 2 23 0001601068

24/11/2023

**„წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრის ვაკანტურ ადგილებზე არჩევნების დანიშვნის შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2023 წლის 17 ნოემბრის MES 2 23 0001570108 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სამდივნოს უფროსის დავით ხუფენიას 2023 წლის 24 ნოემბრის (1600486) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. „წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრის ვაკანტურ ადგილებზე არჩევნების დანიშვნის შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2023 წლის 17 ნოემბრის MES 2 23 0001570108 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. 2023 წლის 08 დეკემბერს დაინიშნოს არჩევნები წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრის შემდეგ ვაკანტურ ადგილებზე:

- სამშენებლო ფაკულტეტი - 2 სტუდენტის ვაკანტური ადგილი;
- ენერგეტიკის ფაკულტეტი - 1 სტუდენტის ვაკანტური ადგილი;
- არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი - 1 სტუდენტის ვაკანტური ადგილი;
- სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი - 1 აკადემიური პერსონალის ვაკანტური ადგილი, 1 სტუდენტის ვაკანტური ადგილი;

- საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი -1 სტუდენტის ვაკანტური ადგილი;
- დიზაინის საერთაშორისო სკოლა - 1 სტუდენტის ვაკანტური ადგილი;
- კვანტური ფიზიკისა და საინჟინრო ტექნოლოგიების ინსტიტუტი - 1 ვაკანტური ადგილი;
- კვების მრეწველობის ინსტიტუტი - 1 ვაკანტური ადგილი;
- ს/კ „ტალღა“ - 1 ვაკანტური ადგილი;
- მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტი - 1 ვაკანტური ადგილი".

2. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტმა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

რექტორი
გურგენიძე დავით